ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3813870

ნომერი: AR1574116

თარიღი : 31.01.2018

გაცემის თარიღი : 13.02.2018

გაცნობის თარიღი : 13.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , ჩიხი II , N1 და N3 , (ნაკვეთი N5/42) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნათია წელაური პ/ნ 01024057166
- თბილისი, დაბა შინდისი, ნაძვნარის ქ. #18

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1574116 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, მე-2 ჩიხი, #1 და #3-ში, #01.14.08.005.042 საკადასტრო ერთეულზე გაცემულია შემდეგი სახის აქტები:

“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2013 წლის 27 მარტის #12 სხდომის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, მე-2 ჩიხი, #1 და #3-ში, #01.14.08.005.042 საკადასტრო ერთეულზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას მიეცა დადებითი შეფასება, კ2 განისაზღვრა 4.1-ით და გაიცა ქ. თბილისის მერის 2013 წლის 02 აპრილის #617 განკარგულება. (სამსახურის 2013 წლის 05 აპრილის #613859 გადაწყვეტილება)

2014 წლის 29 ივლისის #1411373 ბრძანებით ქ. თბილისში, #01.14.08.005.040 და #01.14.08.005.042 საკადასტრო ერთეულებზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის (#01/1802, 17.12.08წ) საფუძველზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2014 წლის 04 თებერვლის #1109287 გადაწყვეტილებით სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება.

2014 წლის 29 მაისის #1296241 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 დეკემბრის #კოლ-1/243 ქალაქთმშენებლობით პირობებში. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 დეკემბრის #კოლ-1/243 ქალაქთმშენებლობით პირობებთან და 2008 წლის 19 აგვისტოს #929 ბრძანებასთან ერთად.

2017 წლის 06 დეკემბრის #AR1549244 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე გურამ გურამიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.14.08.005.040 და #01.14.08.005.042 საკადასტრო ერთეულებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის 2018 წლის 26 იანვრის #3794272 გადაწყვეტილებით მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხადარა.

2018 წლის 23 იანვრის #AR1572318 განაცხადით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე გურამ გურამიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, 01.14.08.005.042 საკადასტრო ერთეულზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის (კ2) მოსაკრებლის გადახდის განწილვადება, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge